ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29240669**
თარიღი:**06/03/2024**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 19 თებერვლის N28-28240507 წერილის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქუჩა N109-ში (ს.კ.33.09.45.949) მდებარე არასაცხოვრებელი ფართი - 32.99 კვ.მ. სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს [redacted] (პ/ნ [redacted]).

მუხლი 2. 2 (ორი) წლის ქირავნობის გადასახადი განისაზღვროს 2400 (ორი ათას ოთხასი) ლარით, ხოლო ყოველთვიური ქირა შეადგენს 100 (ასი) ლარს.

მუხლი 3. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM